

ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირი 1 შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის
N11 ბინაზე, მოქალაქე ციალა გუბელაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზ.გამსახურდიას გამზირი 1 შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ციალა გუბელაძის წარმომადგენლის დავით ბზიკაძის განცხადება /2013 წ. 30.05 №.5998/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირი 1 შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N11 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ციალა გუბელაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირი 1 შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ციალა გუბელაძეს.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ზ.ცქიფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირი 1 შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე /საერთო ფართობი 25.00 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 25.00 კვ.მ./ მოქალაქე ციალა გუბელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე